



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №32

2018 წლის 25 აპრილი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ თხილნარში მდებარე 6162 კვ.მ, სოფელ მახოში მდებარე 3304 კვ.მ და სოფელ ჭარნალში მდებარე 10271 კვ.მ მიწის

ნაკვეთების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-სათვის გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და გადასაცემ ქონებაზე „სასაფლაოს სტატუსის“ მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ თხილნარში მდებარე 6162 კვ.მ (22.28.04.015), სოფელ მახოში მდებარე 3304 კვ.მ (ს/კ 22.28.08.008) და სოფელ ჭარნალში მდებარე 10271 კვ.მ (ს/კ 22.28.03.012) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შემდგომში მისი მოვლა-პატრონობის მიზნით;

2. ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულ მიწის ნაკვეთებს მიენიჭოს სასაფლაოს სტატუსი.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე